# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი 09/07/2015

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 504

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“-ს წესდების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს №19 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ე.მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

**1.** დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“-ს (ს/კ №445391941) თანდართული წესდება.

**2.** ძალადაკარგულად გამოცხადდეს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 31 იანვრის №16 განკარგულებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“-ს („მწვანე ბათუმის“) წესდება.

**3.** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“-ს დირექტორს (ეთერ მაჭუტაძე, პირადი ნომერი 61002017177) დაევალოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შესაბამისად კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

**4.** წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**5.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

„დამტკიცებულია“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის ბრძანება
2015 წლის ...09... ...ივლისი..., №...504

# არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“-ს

## წესდება

## თავი I. ზოგადი დებულებანი

### მუხლი 1. სახელწოდება და იურიდიული მისამართი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“ არის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-სა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებაა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“ (შემდგომ ტექსტში - სამსახური).

3. სამსახურის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი ბათუმი, გენერალ ა. აბაშიძის ქუჩა #14.

### მუხლი 2. სამსახურის სტატუსი

1. სამსახური არის წევრთა მდგომარეობისაგან დამოუკიდებელი იურიდიული პირი და მისი მიზანი არ არის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება.

2. სამსახურის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება ლიკვიდაციის დასრულების რეგისტრაციის მომენტიდან.

3. სამსახური შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

4. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად სამსახურს აქვს სამეწარმეო საქმიანობის უფლება.

5. სამსახური კანონმდებლობით და ამ წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად საკუთარი სახელით იძენს ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს, კისრულობს მოვალეობებს, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით გამოდის მოსარჩლედ და მოპასუხედ სასამართლოში და არბიტრაჟში, აგრეთვე მესამე პირთან ურთიერთობაში.

6. სამსახურს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ხარჯთაღრიცხვა, საბანკო და სახაზინო ანგარიშები, ბეჭედი, შტამპი, ბლანკი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

7. კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილ ფარგლებში სამსახური ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე, რომელიც ახორციელებს დამფუძნებლის უფლებამოსილებებს.

8. სამსახურის სამოქმედო ტეროტორიად განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ტერიტორია.

## თავი II. საქმიანობის საგანი

### მუხლი 3. სამსახურის ძირითადი მიზანი და ფუნქციები

სამსახურის ძირითადი მიზანი და ფუნქციაა:

ა) მის დაქვემდებარებაში მყოფი გამწვანების ობიექტების პერსპექტიული პროგრამების შემუშავება;

ბ) ქალაქ ბათუმის გამწვანებული ტერიტორიების და მასზე განთავსებული ნივთების (მწვანე ნარგავების, დეკორატიული მცენარეების, ქანდაკებების (ძეგლების), შადრევნების და სხვა) მოვლა-პატრონობა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მათი მოვლა-პატრონობა შესაბამისი სამართლებრივი აქტით არ მიეკუთვნება სხვა იურიდიული პირის (დაწესებულების) კომპეტენციას; თუ იგი არ წარმოადგენს კერძო საკუთრებას ან, თუ იგი სახელმწიფოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ შესაბამისი სამართლებრივი ფორმით არ არის დროებით სარგებლობაში სხვა სუბიექტისათვის გადაცემული.

გ) პარკების, სკვერების, ქუჩების პროექტირება, ლანდშაფტური დიზაინის მოწყობა;

დ) მწვანე საფარის, ბაღების, სკვერებისა და ყვავილნარების გამწვანება-განაშენიანება და დაზიანებული ტერიტორიების აღდგენა; დამხმარე სანერგე-სასათბურე მეურნეობის შექმნა-განვითარება; სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობა;

ე) ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადება ლანდშაფტური დიზაინის საკითხებში; შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა; გამწვანების სამუშაოებზე გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეობის მიღება;

ვ) სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების, დეკორატიული მცენარეების, ყვავილებისა და ა.შ. მოვლა-პატრონობა, განახლებისა და აღდგენის სამუშაოები;

ზ) სამოქმედო ტერიტორიის განვითარების დასაბუთებული პერსპექტიული გეგმების შედგენა;

თ) საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ამოცანებისა და მიზნების შესრულება, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სხვა დავალებების შესრულება.

### მუხლი 4. სამსახურის უფლებები და ვალდებულებები

1. სამსახურს დაკისრებული ვალდებულებებისა და ამოცანების განსახორციელებლად უფლება აქვს:

ა) აწარმოოს მოლაპარაკებანი და დადოს გარიგებები, აგრეთვე, განახორციელოს სხვა იურიდიული ქმედებები, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ორგანიზაციებთან; მათ შორის დაამყაროს ურთიერთობები სხვა ქვეყნების იურიდიულ, თუ ფიზიკურ პირებთან;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს დამხმარე სახის სამეწარმეო საქმიანობა, კერძოდ მოახდინოს მცენარეული საქონლის (მწვანე ნარგავები, ყვავილები, მათი ნერგი, თესლი და სხვა) შემოტანა, განბაჟება და რეალიზაცია, გამწვანების სამუშაოების პროექტირება, საქონლის მიწოდება, გამწვანების სამუშაოების შესრულება (მომსახურება) და სხვა. ამ პუნქტით განსაზღვრული მიზნით სამსახური უფლებამოსილია განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვა, მონაწილეობა მიიღოს სხვა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში, მიიღოს კერძო სუბიექტების შეკვეთები, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე ასევე მის ფარგლებს გარეთ. სამსახური ვალდებულია დამხმარე სახის სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი მოახმაროს მხოლოდ დაწესებულების მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას, როგორიცაა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ქალაქ ბათუმის გამწვანებული ტერიტორიების და მასზე განთავსებული ნივთების მოვლა-პატრონობა, ხოლო მისი მიღწევის ხელშეწყობისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და მუშაკთა ეკონომიკური სტიმულირება;

გ) ჩამოაყალიბოს სამსახურის განვითარების პროგრამა, კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვროს გაწეული და გასაწევი მომსახურების ღირებულება;

დ) დაამყაროს შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ განსაზღვრული საშტატო განრიგის შესაბამისად;

ე) შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი პირების თანამდებობრივი სარგო განსაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული სარგოს ოდენობის შესაბამისად;

ვ) განსაზღვროს დაწესებულების ხარჯთაღრიცხვა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით.

2. სამსახური ვალდებულია:

ა) წარმართოს თავისი საქმიანობა საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებისა და ამ წესდების შესაბამისად;

ბ) წარმართოს შრომითი (მათ შორის სახელშეკრულებო) ურთიერთობანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობიდან და დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები.

## თავი III. სამსახურის მართვა და კომპეტენცია

### მუხლი 5. სამსახურის მართვა

1. სამსახურის მართვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესდების შესაბამისად.

2. სამსახურს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც ერთპიროვნულად ეკისრება დაწესებულების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

3. დირექტორს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

### მუხლი 6. სამსახურის დირექტორის უფლებამოსილება

1. დირექტორი:

ა) საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებლად ხელმძღვანელობს დაწესებულების საქმიანობას, მოქმედებს დაწესებულების სახელით და სპეციალური მინდობილობის გარეშე წარმოადგენს მას მესამე პირთან ურთიერთობაში;

ბ) იურიდიული პირის საქმიანობიდან გამომდინარე საკითხებზე გადაწყვეტილებას ღებულობს ერთპიროვნულად, გარდა იმ საკითხებისა, რომელიც საჭიროებს დამფუძნებელთან შეთანხმებას;

გ) პერსონალურად პასუხისმგებელია ამ წესდებისა და დაწესებულების საქმიანობის მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტების შესრულებაზე;

დ) პერსონალურად პასუხისმგებელია დაწესებულების საქმიანობის სწორად წარმართვაზე, დაწესებულების ქონების, მათ შორის, ფულადი სახსრების მიზნობრივ ხარჯვასა და გამოყენებაზე;

ე) თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას გამოსცემს ბრძანებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა დაწესებულების ყველა თანამშრომლისათვის, ხელს აწერს დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებულ ფინანსურ და სხვა დოკუმენტებს;

ვ) უფლებამოსილია დასახული მიზნების მისაღწევად დაამყაროს შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ განსაზღვრული საშტატო განრიგის შესაბამისად;

ზ) უფლებამოსილია შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი პირების თანამდებობრივი სარგოები განსაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი სარგოს ოდენობის შესაბამისად;

თ) საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს (დებს ხელშეკრულებებს) და თანამდებობიდან ათავისუფლებს დაწესებულების თანამშრომლებს;

ი) ანაწილებს ფუნქციებს დაწესებულების თანამშრომლებს შორის (რაზედაც გამოსცემს ბრძანებას), აძლევს მათ სათანადო მითითებებსა და დავალებებს, კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სამსახურეობრივ ზედამხედველობას დაწესებულების თანამშრომლების

საქმიანობაზე, მართავს თათბირებს, პერიოდულად ისმენს ანგარიშს თანამშრომელთა საქმიანობის შედეგების თაობაზე, დაწესებულების სახელით სამოქმედოდ გასცემს მინდობილობას დაწესებულების თანამშრომლებსა და სხვა პირებზე;

კ) კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსილია დაწესებულების თანამშრომლების მიმართ გამოიყენოს წახალისებისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომები;

ლ) უფლებამოსილია დაწესებულების სახელით გახსნას და დახუროს საბანკო ანგარიშები, დადოს შრომითი და სხვა ხელშეკრულებები (შეთანხმებები) ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

მ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერთან ათანხმებს დაწესებულების ხარჯთაღრიცხვას;

ნ) ადგენს და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს დასამტკიცებლად წარუდგენს დაწესებულების ბალანსს;

ო) ამტკიცებს დაწესებულების თანამშრომელთა შვებულებაში გასვლის განრიგს;

პ) ატარებს სათანადო ღონისძიებებს დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის, თანამშრომელთა აუცილებელი პირობების შექმნის მიზნით;

ჟ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს არანაკლებ წელიწადში ერთხელ წარუდგენს დაწესებულების ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ;

რ) ანგარიშვალდებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე;

ს) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს დაწესებულების წესდებაში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ პროექტს, წინადადებებს დაწესებულების საქმიანობის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ;

ტ) ახორციელებს კანონმდებლობით, ამ წესდებით და მათ შესაბამისად მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად, სათანადო წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადების მიზნით, დირექტორი უფლებამოსილია შექმნას სათათბირო ჯგუფები, კომისიები და უხელმძღვანელოს მას.

3. სამსახურის დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის (დროებითი შრომისუუნარობის გამო) ან სხვა საფუძვლის არსებობისას დირექტორისათვის სამსახურეობრივი ურთიერთობის დროებით შეჩერების დროს სამსახურის თანამშრომლებისაგან დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

## თავი IV. სტრუქტურა

### მუხლი 7. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახურის სტრუქტურა და სტრუქტურაში შემავალი თანამშრომლების რაოდენობა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვრება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად.

2. სამსახურის თანამშრომლეთა უფლებამოსილებები (თანამდებობრივი ინსტრუქციები) სამსახურის ფუნქციებიდან გამომდინარე განისაზღვრება დირექტორის სამართლებრივი აქტით - ბრძანებით.

## თავი V. ქონება

### მუხლი 8. სამსახურის ქონება

1. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად სამსახურს აქვს საჭირო განცალკევებული ქონება, რომელიც გადაეცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სამსახურის ქონებას შეიძლება შეადგენდეს აგრეთვე დაწესებულების ფუნქციონირების განმავლობაში მისი ფინანსური სახსრებით შეძენილი ან/და შექმნილი ქონება.

3. სამსახურის ქონებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 9. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას**

სამსახურს შეუძლია დამფუძნებლის თანხმობით განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა;

ბ) გადაცემული ქონების გასხვისება;

გ) გადაცემული ქონების იჯარით გაცემა;

დ) სესხის აღება;

ე) თავდებობა;

ვ) სხვა გადაწყვეტილებები სამსახურის ქონებასთან დაკავშირებით, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

## თავი VI. ფინანსები

**მუხლი 10. სამსახურის ფინანსები**

1. სამსახურის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი შემოწირულობები, გრანტები;

გ) შემოსავლები, რომლებიც მიიღება სამსახურის მიერ სხვა იურიდიული, თუ ფიზიკური პირებისათვის გაწეული მომსახურეობის შედეგად;

დ) დამხმარე სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;

ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

2. სამსახურის ნებისმიერი შემოსავალი უნდა მოხმარდეს მხოლოდ დაწესებულების მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას. დაწესებულების სახსრების სხვაგვარად გამოყენება დაუშვებელია.

## თავი VII. საქმიანობის კონტროლი

**მუხლი 11. სამსახურის საქმიანობის კონტროლი**

1. სამსახურის საქმიანობის საერთო კონტროლს ახორციელებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

2. სამსახურის საქმიანობის კონტროლი მოიცავს დაწესებულების მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

3. სამსახურის საქმიანობის შესამოწმებლად, საჭიროების შემთხვევაში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი ნიშნავს აუდიტორს.

4. სამსახურის საქმიანობის კონტროლთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## თავი VIII. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

**მუხლი 12. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

1. სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სამსახურის ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი 16/02/2016

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 138

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური"-ს წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 106[1] მუხლის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

**1.** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური"-ს (ს/კ №445391941) წესდებაში (დამტკიცებული ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 09 ივლისის №504 ბრძანებით) შეტანილი იქნას ცვლილება და წესდების მე-3 მუხლის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ქალაქ ბათუმის გამწვანებული ტერიტორიების და მასზე განთავსებული ნივთების (მწვანე ნარგავების, დეკორატიული მცენარეების და სხვა) მოვლა-პატრონობა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მათი მოვლა-პატრონობა შესაბამისი სამართლებრივი აქტით არ მიეკუთვნება სხვა იურიდიული პირის (დაწესებულების) კომპეტენციას; თუ იგი არ წარმოადგენს კერძო საკუთრებას ან თუ იგი სახელმწიფოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ შესაბამისი სამართლებრივი ფორმით არ არის დროებით სარგებლობაში სხვა სუბიექტისათვის გადაცემული.".

**2.** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური"-ს დირექტორს (ეთერ მაჭუტაძე, პირადი ნომერი 61002017177) დაევალოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შესაბამისად კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

**3**. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**4.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი

20/11/2017

2085-25-4-201711201340

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 2085

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“-ს წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 106[1] მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

**1.** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“-ს (ს/კ №445391941) წესდების (დამტკიცებული ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 09 ივლისის №504 ბრძანებით) მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 და მე-5 პუნქტები:

„4. დირექტორი თანამდებობაზე ინიშნება ერთი სამეურნეო წლის ვადით, რომელიც მოიცავს წლის დასაწყისიდან - 1 იანვრიდან წლის დასასრულამდე - 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს (კალენდარული წელი).

5. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია ვადაზე ადრე გაათავისუფლოს დირექტორი დაკავებული თანამდებობიდან ან გაუგრძელოს უფლებამოსილების ვადა ერთი სამეურნეო წლით.“.

**2.** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“-ს (ს/კ №445391941) წესდების მე-6 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „უ“; „ფ“ და „ქ“ ქვეპუნქტები:

„უ) დირექტორს უფლება არ აქვს გამოიტანოს ნაღდი ფული საზოგადოების საბანკო ანგარიშ(ებ)იდან;

ფ) დირექტორს უფლება არ აქვს საბანკო ოპერაციები (გადარიცხვები) აწარმოოს მთავარი ბუღალტერის ავტორიზაციის გარეშე. თუ საზოგადოებას არ ჰყავს მთავარი ბუღალტერი, მაშინ აღნიშნულ უფლებამოსილებას დირექტორთან

ერთად ახორციელებს თანამშრომელი, რომელიც თანამდებობრივად პასუხისმგებელია საბუღალტრო აღრიცხვაზე;

ქ) დირექტორი ვალდებულია ყოველთვიურად (პირველ დეკადაში) დამფუძნებელ პარტნიორს წარუდგინოს ამონაწერ(ებ)ი საწარმოს საბანკო ანგარიშ(ებ)იდან მიმდინარე თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით;".

**3.** წინამდებარე ბრძანებით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური"-ს წესდებაში განხორციელებული ცვლილება ვრცელდება ასევე ამ ცვლილების ამოქმედებამდე დანიშნულ დირექტორზეც, რაც ნიშნავს, რომ მოქმედი დირექტორის უფლებამოსილების ვადაა 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

**4.** ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსს (ვახტანგ გედენიძე, პირადი ნომერი: 61001051657) დაევალოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შესაბამისად კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

**5.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი